შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

№11 (9.527)

6 აპრილი 2012 წელი

ფასი 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გამოდის 1937 წლიდან

ჩვენი სულიერი საუნჯე

(ენაში სახიერდება მთელი ხალხი და მთელი მისი სამშობლო)



წმინდა სახარების მიხედვით, უფალმა მისი მეგობარი, ოთხი დღის მკვდარი ლაზარე მკვდრეთით აღადგინა. ქართველი ერი ლაზარეს შაბათსაც დღესასწაულობს და, მოგვიანებით, ქართული ენის დღესაც ზეიმობს.

იოანე ზოსიმეს "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" მიხედვით, "დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან!".

ყოველი ერი თავის ენაზე ადიდებს ღმერთს, მაგრამ არც ერთ ერს არ მიუნიჭებია საკუთარი ენისთვის სიცოცხლე მხოლოდ ღვთის დიდებისათვის, არცერთ ერს არ აუყვანია მშობლიური ენა ასეთ მაღალ რანგში და არც ძეგლი აღუმართავს მისთვის.

ბევრი ერი, რომელსაც საკუთარი ენა და დამწერლობა გააჩნია, გამოხატავს მშობლიური ენისადმი პატივისცემას, მაგრამ არცერთ ერს, განსაკუთრებით მის ახალგაზრდა წარმომადგენლებს, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაუგდია და საბჭოთა იმპერიის მარწუხებში მოქცეულებს მაშინდელი დიქტატურის ბორკილების მსხვრევა არ უცდია. ბევრისთვის 1978 წლის გამოსვლები სულაც არ ასოცირდებოდა იმ შედეგთან, რომელსაც საპროტესტო აქციის მონაწილეებმა მიაღწიეს. თუმცა, ფაქტია, რომ არა მაშინდელი სტუდენტების გამბედაობა და თავგანწირვა, ალბათ, ათეული წლების მანძილზე საქართველო რუსულ კულტურას და ენას, შესაძლოა იძულებით, მაგრამ მაინც შეეთვისებოდა.

საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია || ლოცვაკურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, საეკლესიო კალენდარში შეიტანა ქართული ენის დღესასწაული და აღნიშვნის დღედ განაჩინა ლაზარეს შაბათი.

ამით ოფიციალურად აღიარებულია მართლმორწმუნე ქართველი ერის მისტიკური ჭვრეტისა და სურვილის იდუმალი ხმა: არასდროს უღალატოს მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებას და უფლის მიერ გაცოცხლებული ლაზარეს მსგავსად, ყველაზე ცხოველ მოწმედ დაუდგეს ქრისტეს ღვთაებრიობას.

ქართველები მართალ ლაზარესთან - უფლის მეგობართან - მუდამ დიდ სულიერ კავშირს გრძნობდნენ. უფლის კვართით დაწინდულნი, ღვთისმშობლის წილხვედრნი, წმინდა ანდრიას ჯვრით მოქცეულნი, წმინდა ნინოსეულ ემბაზში განათლულნი, თვითონაც უფლის მეგობრებად მიიჩნევდნენ თავს.

მათ, როგორც წმინდა კირიონ კათოლიკოსი ბრძანებდა,"გააქრისტიანეს თავისი საუკუნო ეროვნული სარწმუნოება, მისცეს ქრისტიანობას თვისება თავისი ეროვნული ხასიათისა: სირბილე, გულითადობა, სითბო, უბოროტობა, სიმტკიცე. მუდამ გამზადებული ჰქონდათ გულები, მუდამ მორტყმული ჰქონდათ სარტყელი (აკი, კიდევაც უწოდებდნენ სარტყლის ქრისტიანებს, და არა მარტო წმინდა გიორგის დიდი სიყვარულისთვის).

წმინდა დავით აღმაშენებელმა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული ქვეყანა დაგვიტოვა. მარტო დავითის სახელის უკვდავყოფა არ ნიშნავს სამშობლოს სიყვარულს, მთავარი იმ ღირებულებების ერთგულებაა, რომლებიც დავით აღმაშენებელმა და ილია ჭავჭავაძემ გვიანდერძეს. ერთ-ერთი მათგანი მშობლიური ენის სიყვარული და პატივისცემაა. ლაზარეს სასწაულით სწორედ ამ სამი საუნჯის - ენა, მამული, სარწმუნოება, ერთიანობა და განუყოფლობაა გაცხადებული.

„ენა წარმოადგენს ხალხის მთელი სულიერი ცხოვრების უაღრესად სრულსა და მართალ მატიანეს და ამავე დროს იგი არის ხალხის უდიდესი მასწავლებელი, რომელიც ასწავლიდა ხალხს მაშინ, როდესაც არ იყო სკოლები და კვლავ განაგრძობს სწავლებას ხალხის ისტორიის დასასრულამდე"- ეს ერთ-ერთი ბრძენის სიტყვებია, რომელიც, ვფიქრობ, საუკეთესოდ გამოხატავს მშობლიური ენის მნიშვნელობას ყოველი ერის ცხოვრებაში. ენაში ხომ მთელი ხალხი და მთელი სამშობლო სახიერდება, თავისი ისტორიითა და აწმყოთი.

ბზობა - ბაიაობა

მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს.

„...ერი მრავალი, რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვალს იერუსალემდ, მოიღეს რტოები დანაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, მეუფე ისრაელისაი!", - ასე აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის ამბავს.

მაცხოვრის შესვლა იესუსალიმს ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უფალს. ეს ზეიმი წინასწარ არავის მოუმზადებია, ის ადამიანთა ყველაზე წმინდა, ყველაზე წრფელი გრძნობების უეცარი და, შეიძლება ითქვას, უფლის მიერ შთაგონებული გამოხატულება იყო. იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მაცხოვარს. ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!" (მათე 21, 9).

ბზის ან პალმის მშვენიერებით ეკლესია უფრო ცხოვლად გამოხატავს უფლის დიდებით შესვლად იერუსალიმში. ეს დიდი ხნის ტრადიციაა. V საუკუნის სასულიერო მოღვაწე, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი წმიდა პროკლე, თავის ერთ-ერთ სიტყვაში ასე ამბობს: „ხელთ ვიპყრათ პალმის ტოტები და შევეგებოთ დიდებით მომავალს უფალს ჩვენსას".

ღმერთი კი ყოველ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კიცვზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებივით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში.

იერუსალიმს დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს - მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

როცა ბავშვს დედასთან ცხოვრება არ სურს

სოფელ ფიროსმანში 7 წლის გოგონას ირგვლივ სასამართლო დავა გრძელდება. მას შემდეგ, რაც დედოფლისწყაროს სასამართლომ ბავშვი აღსაზრდელად დედას მიაკუთვნა, მოსარჩელე მხარემ გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა. როგორც „შირაქმა" გაარკვია, ამჯერად თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოზარდის მამის ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, უახლოესი თვენახევრის განმალოვლობაში გოგონას მდგომარეობას სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები შეისწავლიან, რის შემდეგაც სააპელაციო სასამართლო დავის განხილვას გააგრძელებს.

გოგონას მამა, გია ასლანიძემ სასამართლოს სთხოვა, გადაწყვეტილების გამოტანამდე ბავშვის მდგომარეობა ფსიქოლოგებმა დეტალურად შეისწავლონ. სასამართლო განხილვა მას შემდეგ გაგრძელდება, რაც ფსიქოლოგები უდედოდ დარჩენილი არასრულწლოვანის მდგომარეობას გამოიკვლევენ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვითარების ადგილზე შესწავლას სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი ფილიალი მოახდენს.

(გაგრძელება მე-4 გვ.)

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

გვ. 2

ლევან მჭედლიშვილი: „სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ აქვს"

გვ. 4

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

ეტლების გადაცემა გრძელდება

4 აპრილს, დედოფლისწყაროს თვითმმართველი ერთეულის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობის საკითხებში, ლალი მანგოშვილი და შპს ,,ადითი-დედოფლისწყაროს“ დირექტორი, ხათუნა ზურიკაშვილი სოფელ ზემო მაჩხაანში მცხოვრებ უნარშეზღუდულ ქალბატონს მზია იაკობიშვილს ესტუმრნენ და აქტიური ეტლი გადასცეს, შემდეგ სოფელ არბოშიკში მცხოვრებ ტასიკო ალადაშვილს ეწვივნენ და მოულოდნელი საჩუქრით გაახარეს, თავადვე ჩასვეს ეტლში . დასაჩუქრებულმა ქალბატონებმა მადლიერება გამოხატეს ადგილობრივი ხელისუფლების და ეტლების შემომტანი საერთაშორისო ორგანიზაციის - ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ - მიმართ. ხსენებული ორგანიზაცია დედოფლისწყაროში მსგავსი სახის საქველმოქმედო აქციებს პერმანენტულად ახორციელებს.

სასწრაფო დახმარების სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

დედოფლისწყაროს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის უფროსად ქირურგი, დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრი ნუკრი ბაღაშვილი დაინიშნა. ინფორმაციას დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ოფიციალურად ადასტურებენ.

როგორც „შირაქს“ შპს „ადითის“ დედოფლისწყაროს საავადმყოფოს უფროსმა ხათუნა ზურიკაშვილმა განუცხადა, ნუკრი ბაღაშვილი მოვალეობის შესრულებას 2 აპრილიდან შეუდგა. ბაღაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2010 წლის მონვევის საკრებულოში სოფელ არბოშიკის მაჟორიტარი დეპუტატია. ის დედოფლისწყაროს გარდა, კახეთის სხვა რაიონებშიც ონკოლოგიის განხრითაც მუშაობს.

სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის ადგილობრივი ხელმძღვანელის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ იყო, რაც ხათუნა ზურიკაშვილი „ადითის“ დედოფლისწყაროს საავადმყოფოს უფროსად გადაიყვანეს. რამდენიმე თვის მანძილზე სასწრაფო დახმარების სამსახური „ადითის“ დაქვემდებარებაში რჩებოდა და მის ხელმძღვანელობას კვლავაც ზურიკაშვილი ითავსებდა. ეს უკანასკნელი 033-ის უფროსად სამსახურის დაარსების დღიდან მუშაობდა.

ახლახან განხორციელებული საკადრო ცვლილებების თაობაზე გადაწყვეტილება ებრაული კომპანია „ადითის“ ხელმძღვანელობამ მიიღო. შეგახსენებთ, „ადითი“ უახლოეს მომავალში დედოფლისწყაროში თანამედროვე სტანდარტების საავადმყოფოს მშენებლობასაც გეგმავს.

გამოცდების ეროვნული ცენტრი ფართომასშტაბიან აპრობაციას იწყებს

გამოცდების ეროვნული ცენტრი 6 აპრილიდან ფართომასშტაბიან აპრობაციას იწყებს. აპრობაციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 170-მდე სკოლაში ჩატარდება. მოსწავლეები სკოლის გამოსაშვები გამოცდების დავალებებზე იმუშავებენ.

სისტემის რეალურ რეჟიმში ამოქმედება მომდევნო სასწავლო წლიდან იგეგმება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, აპრობაციების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ახალი სისტემის შექმნაა, რომელიც საშუალებას მისცემს მონაწილეს, პრეტესტის გავლის შემდეგ შეიტყოს არა მხოლოდ შეფასება, არამედ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ და რა დროში დაძლია კონკრეტული საგნის ტესტის გარკვეული ნაწილები, რამდენ კითხვას უპასუხა სწორად და რამდენს ვერა.

„ყველა მოსწავლე, რომელიც გაივლის ტესტიორებას, შემდეგ ეწვევა ჩვენს ვებგვერდს (www.naec.ge) და შეიყვანს თერთმეტნიშნა კოდს და პირად ნომერს. მოსწავლეს შეუძლია იხილოს თითოეულ საგანში მისი შედეგი, ასევე დეტალური ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სად აქვს მას სუსტი მხარეები და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. ვაწვდით ასევე მას ე.წ. პროცენტს, ანუ მას შეუძლია საკუთარი თავი შეადაროს სხვა მოსწავლეებს, თუ რამდენ მოსწავლეზე უკეთესად დაძლია დავალება“, - განაცხადა გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა.

პირველმა სკოლამ კონკურსში გაიმარჯვა

ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში გაიმართა კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ რაიონული ეტაპი. სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის გუნდი „იმედი“ დაუპირისპირდა პირველი საჯარო სკოლის გუნდს „სიონი“.

როგორც გაზეთ „შირაქს“ კონკურსის ორგანიზატორებმა აცნობეს, შეჯიბრება პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეების გამარჯვებით, ანგარიშით 17-12 დასრულდა.

„თამაში გუნდის „სიონის“ უპირატესობით წარიმართა და საბოლოო ჯამში მათივე გამარჯვებით დასრულდა. ვულოცავთ „სიონს“ გამარჯვებას და შემდეგ ეტაპებზე თამაშში წარმატებას ვუსურვებთ,“ — აცხადებენ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ადმინისტრაციაში.

შეჯიბრს სკოლის მანდატურები და დირექტორიც ესწრებოდნენ. კონკურსის შედეგად დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა ზონალურ ტურში გადავიდა, რომელიც სავარაუდოდ მაისში, ქალაქ ყვარელში გაიმართება.

ზურაბ ჭიაბერაშვილი: ,,ყოველგვარი მედია-აჟიოტაჟის გარეშე იქნება საჯარიმო სანქციები“

„პირადად შევესწარი ერთ-ერთ კლინიკაში ასეთ ფაქტს. იმის გამო რომ კონკრეტულ სადაზღვევოს ჰქონდა კლინიკის დავალიანება, დაზღვევის მქონე ადამიანი კლინიკამ უკან დააბრუნა. მე ჯერ ახალი ვარ და ძალიან ბრაზიანად არ შეიძლება გამოვიყურებოდე, მაგრამ რაღაც პერიოდის მერე ამაზე უფრო მძიმე რეაქციები მექნება, ვიდრე ახლა მაქვს“, - განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გურჯაანში, ექიმებთან შეხვედრის დროს.

„მეორე რაც არის, თვითონ სამედიცინო მომსახურების ხარისხია. კონკრეტულ დაავადებებს აქვს თავისი პროცენტი, როცა შემთხვევები ფატალური შედეგით სრულდება, ამიტომ ჩვენ გვჭირდება კარგი ინფორმირება ჩვენი საზოგადოების, სად არის ასეთი შემთხვევა და სად ჰქონდა ადგილი ექიმის ან ექთნის შეცდომას. არ შეიძლება ყველა ასეთი შემთხვევა ვაქციოთ ექიმების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობად. ჩვენ ახლა გადავალთ სისტემაზე, რომელშიც ყოველგვარი მედია აჟიოტაჟის გარეშე იქნება საჯარიმო სანქციები. ახლა თუ დაგვტოვებენ ჩვენი მეგობრები, შევძლებ, რომ უფრო დეტალებში წავიდე,“ - აღნიშნა მინისტრმა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი 3 აპრილს გურჯაანში იმყოფებოდა. მან სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი ოფისი დაათვალიერა, შემდეგ სოფელ გურჯაანში გოგიაშვილების სოციალურად დაუცველ ოჯახს ესტუმრა და ბოლოს ფრანგულ - ქართულ სამედიცინო ცენტრში „კახეთი - იონი“ ექიმებს შეხვდა. შეხვედრას კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი, საფრანგეთის ურთიერთთანამშრომლობის სამინისტროს კაბინეტის უფროსი და „კახეთი-იონის“ დამფუძნებლებიც ესწრებოდნენ.

300 ათასი ევრო ვაშლოვანის ნაკრძალის განვითარებისთვის

კავკასიის ბუნების ფონდმა თუშეთის და ვაშლოვანის ეროვნული პარკებისათვის 604 000 ევრო გამოყო. გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი შონვაძემ და საერთაშორისო ორგანიზაცია კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ მორისონმა 604 000 ევროს ოდენობის საგრანტო ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერეს.

„ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგად ხდება საკმაოდ დიდი თანხების მოძიება, რომელიც იხარჯება დაცული ტერიტორიების განვითარების მიზნით. მსგავსი გრანტები ხელს უწყობს კონკრეტულად იმ ხარჯების დაფარვას, რისი საჭიროებებიც არის ეროვნულ პარკებში. სწორედ ამის შედეგია, რომ ყოველწლიურად ძალიან დიდი ტემპით იზრდება დაცულ ტერიტორიებში ტურისტების რაოდენობა და ეს დინამიკა იქნება შენარჩუნებული სწორედ ასეთი პარტნიორების თანადგომით,” — განაცხადა გოგა ხაჩიძემ.

გრანტი თუშეთის და დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის ეროვნული პარკების განვითარებისათვის დაიხარჯება, ორი წლის განმავლობაში მოეწყობა მცირე ინფრასტრუქტურა და განხორციელდება სხვადასხვა გარემოსდაცვითი ღონისძიებები. „ჩვენ ხელი მოვაწერთ ხელშეკრულებას, რომელიც ხელს შეუწყობს ვაშლოვანის და თუშეთის ეროვნული პარკების განვითარებას სამი წლის განმავლობაში. საგრანტო დაფინანსების მიზანია ადმინისტრაციული საკითხების გაძლიერება და დაცულ ტერიტორიებში არსებული ბიომრავალფეროვნების საკონსერვაციო მიზნების მიღწევა,” — განაცხადა დევიდ მორისონმა.

როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი შონვაძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, პროექტის ფარგლებში ნაკრძალის თანამშრომლებისთვის ხელფასების ზრდაც იგეგმება.

მსგავსი პროექტები 2008 წლიდან ხორციელდება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკსა და ლაგოდეხის ნაკრძალში. კავკასიის ბუნების ფონდის მიზანია სამი ქვეყნის: საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის დაცული ტერიტორიების კონსერვაციისა და განვითარებისათვის ფინანსური ხელშეწყობა. ფონდი საქართველოში 2008 წლიდან მუშაობს.

ილია მარტყოფლიშვილი

კახეთში დიალიზის რეგიონული ცენტრი გაიხსნება

ქართულ - ფრანგულ სამედიცინო ცენტრში „კახეთი - იონი“ დიალიზის რეგიონალური ცენტრი გაიხსნება. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს კლინიკის დირექტორმა ხათუნა ჭონიაშვილმა აცნობა.

მისი თქმით, დიალიზის ცენტრი გურჯაანის პოლიკლინიკის შენობაში განთავსდება. რომელსაც „კახეთი - იონის“ ადმინისტრაცია შეისყიდის.

„ხვალ საფრანგეთიდან სტუმრად ექიმები ჯაქს სიმარი, ერიკ ჟანტი და ფრანგულ- ქართული ცენტრის „კახეთი-იონის“ სხვა დამფუძნებლები გვეწვევიან. მოხდება მოლაპარაკება თუ როგორ უნდა განხორციელდეს დიალიზის პროგრამა. ასევე ხელი მოეწერება კონტრაქტს გურჯაანის ყოფილი პოლიკლინიკის შენობის შესყიდვის შესახებ. დიალიზის ცენტრის გახსნის იდეა გასულ წელს გაჩნდა, როცა უროლოგიის ცენტრმა „კახეთი - იონში“ ერთკვირიანი აქცია ჩაატარა. იმდენი რისკ ჯგუფის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ, რომ ამ კუთხით ცენტრის გაფართოება გადავწყვიტეთ“, - განაცხადა ხათუნა ჭონიაშვილმა.

სამედიცინო ცენტრი „კახეთი - იონი“ გაფართოებას ონკოლოგიის მიმართულებითაც აპირებს. ხათუნა ჭონიაშვილის თქმით, ადგილზე მოხდება როგორც დიაგნოსტირება, ასევე ქირურგიული და ქიმიოთერაპიული მკურნალობა, რომელიც ფრანგ ექიმებთან შეთანხმებით ჩატარდება. პერიოდულად ფრანგი ექიმები ჩამოვლენ და პაციენტებს კონსულტაციებს გაუწევენ.

ფრანგულ - ქართული სამედიცინო ცენტრი „კახეთი - იონი“ გურჯაანში 2008 წლის იანვრიდან ფუნქციონირებს. ცენტრი უახლესი სამედიცინო ტექნიკით არის აღჭურვილი და ერთადერთი სამედიცინო დანესებულებაა რეგიონში, სადაც 50-ზე მეტი სახის გამოკვლევა ტარდება.

ორ სოფელში ბევრი რამ გაკეთდება

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, სოფელ ზემო მაჩხაანში მიმდინარე წელს 395 ათასამდე ლარი დაიხარჯება. სოფლის დახმარების პროგრამით, 44 808 ლარი მოხმარდება სოფელში არსებული წყალმომარაგების შიდა ქსელის შეცვლას, წყალსაქაჩზე არსებული სადაწნევო მილის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაციას და წყალსაქაჩთან არსებული წყლის სათავე ნაგებობების გაწმენდას, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 300 000 ლარი მოხმარდება სოფელ ზემო მაჩხაანის ცენტრალური ასფალტო-ბეტონიანი გზის სრულ რეაბილიტაციას, 50 000 ლარის სამუშაოებია დაგეგმილი ზემო მაჩხაანისა და არბოშიკის დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე არსებული ბოგირის სრულ რეაბილიტაციაზე.

სოფელ მირზაანში, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, 15 000 ლარი მოხმარდება სოფელში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციას, ხოლო სოფლის დახმარების პროგრამით გამოყოფილი 16 218 ლარი მოხმარდება სოფლის წყალსაქაჩთან არსებული სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას, დრენაჟის მოწყობას და წყალშემკრებ რეზერვუარზე მიერთებას (დებეტის გაზრდის მიზნით) და წყალმომარაგების შიდა ქსელის მოწყობას.

ტექნიკური დავალება პილოტური პროექტის თესლბრუნვის პრაქტიკისა და წვეთოვანი რწყვის სისტემის დანერგვა სახნავი მიწების დეგრადაციის პრევენციისა და შერბილების მიზნით განსახორციელებლად რეგიონული პროექტის „მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში“

2009 წლიდან კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus), კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან (CENN) მჭიდრო თანამშრომლობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს რეგიონულ პროექტს — მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში. პროექტი ხორციელდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მდინარეების — ხრამიდებედისა და ალაზან-ივრის — აუზებში.

რეგიონული პროექტის მიზანს წარმოადგენს:

• სამხრეთ კავკასიის რეგიონის ტრანსსასაზღვრო მდინარეების აუზებში მიწის რესურსების მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის, დაგეგმვისა და რეგულირების პროცესის გაუმჯობესების საშუალებით;

• სამიზნე ტერიტორიებში სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის მიწის რესურსების მდგრადი სააუზო მართვისა და ალტერნატიული საარსებო წყაროების უპირატესობის დემონსტრირება და მიღწეული შედეგების სხვა ადგილებში გადაღების მიზნით რეპლიკაციის სტრატეგიის შემუშავება.

საქართველოში პროექტი ხორციელდება ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების შემდეგ მუნიციპალიტეტებში:

• ბოლნისი, მარნეული, დმანისი — ქვემო ქართლის რეგიონი;

• სიღნაღი, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, საგარეჯო — კახეთის რეგიონი.

ზემოთ აღნიშნული რეგიონული პროექტის ფარგლებში პროექტის განმახორციელებელი გუნდი აცხადებს კონკურსს პილოტური პროექტის — თესლბრუნვის პრაქტიკისა და წვეთოვანი რწყვის სისტემის დანერგვა სახნავი მიწების დეგრადაციის პრევენციისა და შერბილების მიზნით — განხორციელებისათვის.

პილოტური პროექტის მიზანი

პილოტური პროექტის საერთო მიზანს წარმოადგენს მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის — როგორიცაა თესლბრუნვა, წვეთოვანი რწყვა და სხვ. — უპირატესობის დემონსტრირება.

კერძოდ, პილოტური პროექტის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს სამიზნე ტერიტორიაზე ნიადაგის დეგრადაციის შემცირება და ნაყოფიერების გაზრდა თესლბრუნვის პრაქტიკისა და წვეთოვანი რწყვის სისტემის დანერგვის გზით.

ადგილმდებარეობა: სოფელი ფიროსმანი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი.

ხანგრძლივობა: პილოტური პროექტი უნდა დასრულდეს 2012 წლის ბოლომდე.

პროექტის ძირითადი შედეგები:

• სამიზნე არეალში მოქმედი ფერმერთა ასოციაცია/კოოპერატივი (მინიმუმ, 15-20 წევრით დაკომპლექტებული);

• სამი (3) სასწავლო კურსი/ტრენინგი ფერმერთა ასოციაციის/კოოპერატივის წევრებისათვის შემდეგ საკითხებზე: თესლბრუნვა, მებოსტნეობა და წვეთოვანი რწყვა;

• წვეთოვანი რწყვის სისტემა, რომელიც დამონტაჟებულია ღია გრუნტსა (ბოსტანში) და სათბურში;

• ხუთწლიანი თესლბრუნვის გეგმა სამიზნე სოფლისათვის (რომელიც დარიგებული აქვს სამიზნე სოფლის ფერმერებს).

ვადები და პროექტის განხორციელების ეტაპები:

ძირითადი საქმიანობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს პილოტური პროექტის ფარგლებში:

1. ფერმერთა ასოციაციის/კოოპერატივის ჩამოყალიბება

• მებოსტნეობის პროფილის მცირე ფერმერთა ასოციაციის/კოოპერატივის ჩამოყალიბება ადგილობრივი დაინტერესებული ფერმერებისგან;

2. ფერმერთა ასოციაციის/კოოპერატივის წევრებისათვის ტრენინგების ჩატარება შემდეგ თემებზე: თესლბრუნვა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის თანამედროვე აპრობირებული მეთოდები და წვეთოვანი რწყვა

• სამი (3) სასწავლო კურსის/ტრენინგის ჩატარება ასოციაციის წევრი ფერმერებისთვის შემდეგ საკითხებზე:

• სასოფლო—სამეურნეო კულტურების მოყვანის თანამედროვე აპრობირებული მეთოდები;

• წვეთოვანი რწყვის სისტემა — უპირატესობები, მოწყობა, გამოყენება;

• თესლბრუნვა — მნიშვნელობა, განხორციელების გზები და სხვ.

3. წვეთოვანი რწყვის სისტემის დამონტაჟება ღია გრუნტსა (ბოსტანში) და სათბურში

• წვეთოვანი რწყვის სისტემისა და სხვა საჭირო მასალის შესყიდვა;

• ფერმერების შერჩევა — ასოციაციის წევრი ფერმერების ნაკვეთებზე წვეთოვანი რწყვის სისტემის უპირატესობის დემონსტრირება. უნდა დამონტაჟდეს წვეთოვანი რწყვის ორი სისტემა; ერთი — ღია გრუნტში (ბოსტანში) და მეორე — სათბურში. ამ საქმიანობისათვის ფერმერების შერჩევის კრიტერიუმი უნდა იყოს კონტრიბუცია მათი მხრიდან;

o ორი (2) სადემონსტრაციო დღის ორგანიზება პილოტური პროექტის შედეგების დემონსტრირების მიზნით.

4. სამიზნე არეალში თესლბრუნვის პრაქტიკის დანერგვა და განვითარება

o სამიზნე სოფლისათვის თესლბრუნვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავება. გეგმა მიზნად უნდა ისახავდეს ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდას ნიადაგის ტიპისა და ადგილობრივი კულტურების გათვალისწინებით;

o თესლბრუნვის ხუთწლიანი გეგმა უნდა დაურიგდეს ადგილობრივ ფერმერებს, რომლებსაც უნდა ჩაუტარდეთ კონსულტაციები შესაბამისი სპეციალისტების მიერ აღნიშნული გეგმის დანერგვის შესახებ.

პილოტური პროექტი უნდა განხორციელდეს რეგიონული პროექტის — მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში — განმახორციელებელ გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კერძოდ, პილოტური პროექტის განხორციელების პროცესში შერჩეული ორგანიზაცია მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს: რეგიონული პროექტის ეროვნულ და ადგილობრივ კოორდინატორებთან, სამიზნე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ფერმერებთან.

პილოტური პროექტის განხორციელების დროს რეგიონული პროექტის — მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში — განმახორციელებელი გუნდი არჩეულ ორგანიზაციას გაუწევს შესაბამისი ექსპერტების/სპეციალისტების კონსულტაციას (სოფლის მეურნეობის სპეციალისტის, მეტყევის მიწოდების კუთხით).

რეგიონული პროექტის — მიწის რესურსების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში —განმახორციელებელი გუნდი პილოტური პროექტის მიმდინარეობის დროს აქტიურად იქნება ჩართული შესაბამისი კონსულტაციების გაწევისა თუ მონიტორინგის კუთხით.

პილოტური პროექტის ბიუჯეტი:

პილოტური პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 6,000 ევროს (დღგ—ს გარეშე).

აღნიშნული თანხის გადარიცხვა განხორციელდება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

% დროის პერიოდი

30% პილოტური პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ

50% მოხსენებითი/თხრობითი და ფინანსური ანგარიშების ჩაბარების შემდეგ

20% პილოტური პროექტის განხორციელების დასრულებისა და საბოლოო მოხსენებითი/თხრობითი და ფინანსური ანგარიშების ჩაბარების შემდეგ

ანგარიშგება:

პილოტური პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია ვალდებულია, წარმოადგინოს შემდეგი ანგარიშები:

• შუალედური მოხსენებითი/თხრობითი და ფინანსური ანგარიშები.

• საბოლოო მოხსენებითი/თხრობითი და ფინანსური ანგარიშები;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

• ორგანიზაცია უნდა იყოს რეგისტრირებული ერთეული (სათემო ორგანიზაცია / არასამთავრობო ორგანიზაცია);

• ორგანიზაცია უნდა ფუნქციონირებდეს არანაკლებ ორი წლის განმავლობაში;

• ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საკუთარი ან ნაქირავები საოფისე ფართობი;

• უპირატესობა მიენიჭება იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ საქართველოს რეგიონებში მუშაობის გამოცდილება;

• უპირატესობა მიენიჭება იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება.

განაცხადის შეტანა:

დაინტერესებულმა სათემო/არასამთავრობო ორგანიზაციებმა ა.წ. 15 აპრილამდე ქვემოთ მითითებულ მისამართზე უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

• მოკლე ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ (ორგანიზაციის ძირითადი კვალიფიკაციის, განხორციელებული პროექტების (ბიუჯეტების მითითებით), და სხვ.);

• წერილი, რომელშიც დასაბუთებული იქნება პილოტურ პროექტში მონაწილეობის ინტერესი და მოტივაცია (მაქსიმუმ, 2 გვერდი);

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

• ცნობა ორგანიზაციის ნასამართლობის შესახებ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• ცნობა ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნასამართლობის შესახებ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

• წერილობითი დადასტურება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან).

კონკურსის შედეგები გამოცხადდება განაცხადების მიღებიდან ორი (2) კვირის შემდეგ.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ნინო თევზაძე
პროექტის ეროვნული კოორდინატორი საქართველოში
ტელ: +995 32 2 75 19 03 / 04
ფაქსი: +995 32 2 75 19 05
nino.tevzadze@cenn.org
www.cenn.org

ლევან მჭედლიშვილი: „სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ აქვს“.

სასმელი წყლის მიწოდების პრობლემის მოგვარების შემდეგ, ქალაქ დედოფლისწყაროში პრობლემად წყლის ხარისხი იქცა. ადგილობრივი ოპოზიცია ირწმუნება, რომ დედოფლისწყაროში წყლის ხარისხის კონტროლს არაპროფესიონალი კადრები ახდენენ, რაც მოსახლეობას საფრთხეს უქმნის და მუნიციპალიტეტში ეპიდემიის გავრცელების საშიშროებას რეალურად ქმნის:

სასმელი წყლის მიწოდების პრობლემის მოგვარების შემდეგ, ქალაქ დედოფლისწყაროში პრობლემად წყლის ხარისხი იქცა. ადგილობრივი ოპოზიცია ირწმუნება, რომ დედოფლისწყაროში წყლის ხარისხის კონტროლს არაპროფესიონალი კადრები ახდენენ, რაც მოსახლეობას საფრთხეს უქმნის და მუნიციპალიტეტში ეპიდემიის გავრცელების საშიშროებას რეალურად ქმნის: „ბოლო დროს რაიონის მოსახლეობა გამოთქვამს უკმაყოფილებას წყლის ხარისხთან დაკავშირებით. განსაკუთრებით დედოფლისწყაროს იმ ნაწილის მოსახლეობაა შეწუხებული, რომლებიც ტერიტორიულად ახლოს ცხოვრობენ წყალშემკრებ რეზერვუართან. ონკანებზე წყალი საშინელი ქლორის გემოთი და სუნით მოედინება, რის გამოც მისი სასმელად გამოყენება შეუძლებელია. სპეციალისტების განმარტებით, წყალი უნდა იყოს უფერო, უსუნო, უგემო და მისი დაქლორვა უნდა ხდებოდეს სტანდარტით დადგენილ ნორმებში. ქლორის ზედმეტი დოზა ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით მავნეა, ხოლო გადამეტებულმა დოზამ შეიძლება ფატალური შედეგიც კი გამოიწვიოს“. – ნათქვამია პარტიის განცხადებაში. მოძრაობა „თავისუფალი საქართველო“-ს მიერ გავრცელებული საპროტესტო განცხადების მიხედვით, მუნიციპალიტეტში არსებულ ცენტრალურ რეზერვუარში, ამჟამად სასმელი წყლის დაქლორვას ყოფილი პოლიციელი გენადი ჯანაშვილი ახდენს, რომელსაც შესაბამისი განათლება, გამოცდილება და კომპეტენცია არ გააჩნია. ამ ფონზე, ორგანიზაცია შიშობს, რომ წყალში ქლორის შემცველობის გადამეტება სავალალო შედეგებს მოიტანს. მათი მტკიცებით, ეს ძალზე სპეციფიკური საკითხია და განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის მენეჯერი ლევან მჭედლიშვილი ადგილობრივი ოპოზიციის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, წყლის ხარისხის კონტროლის პროცესში სპეციალისტებიც არიან ჩართულნი.

„გენადი ჯანაშვილი ჩვენთან ნამდვილად მუშაობს, ის ცენტრალური რეზერვუარის ოპერატორი გახლავთ. თუმცა, ამ შემთხვევაში, ოპოზიციას ნამდვილად შევეკამათები. როგორც წესი, რეზერვუარში წყლის დაქლორვის პროცესში ჩართული არის ჩვენი ლაბორანტი თამუნა მჭედლიშვილი და ტექნიკური სამსახურის უფროსი ვაჟა მენთეშაშვილი. ანუ, ხარისხის ერთ-პიროვნული კონტროლი არ ხდება. მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს, როგორც რეზერვუარში წყლის ხარისხის კონტროლის პროცესში, ისე სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. მონაცემები მუდმივად იგზავნება როგორც ჩვენს რეგიონულ, ისე ცენტრალურ ფილიალებში. ამდენად, ვერ გავიზიარებთ გავრცელებულ საპროტესტო განცხადებას, თითქოს დედოფლისწყაროში სასმელი წყლის ხარისხს არაპროფესიონალები აკონტროლებენ. ეს არ შეესაბამება სიმართლეს და რეალობასთან კავშირი არ აქვს, “ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ლევან მჭედლიშვილმა.

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრში მიიჩნევენ, რომ სასმელი წყლის დაქლორვისა და მის უხარისხობასთან დაკავშირებით მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ აქვს.

მოგვიანებით გაზეთ „შირაქის“ რედაქციას გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კახეთის რეგიონალური ხელმძღვანელი ფარნა მაყაშვილი დაუკავშირდა და მანაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროში წყლის ხარისხს პირადად ხშირად აკონტროლებს. მისი თქმით, დედოფლისწყაროში წყალმომარაგების 24 საათიანი გრაფიკი წარმატებით მუშაობს და ამ მხრივ შეფერხებებს ადგილი არ აქვს. მისივე თქმით, წყალში ქლორის შემცველობაც ამ დროისთვის ნორმის ფარგლებშია.

ილია მარტყოფლიშვილი

როცა ბავშვს დედასთან ცხოვრება არ სურს

(პირველი გვერდიდან)

ხელვაჩაურისა და დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მიუხედავად, რომ გოგონა დედასთან უნდა იზრდებოდეს, ბავშვი ამ დრომდე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანში, მამის ოჯახში იმყოფება. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება კი იმიტომ ვერ ხერხდება, რომ მოზარდს დედასთან ცხოვრება არ სურს. ორწლიანი დავის დეტალებზე გასული წლის ზაფხულში გაზეთი „შირაქი“ დაწვრილებით უკვე წერდა.

„ამჯერად თბილისის სააპელაციო სასამართლო სოცმუშაკებისა და ფსიქოლოგების დასკვნას ელოდება. სპეციალისტები სოფელ ფიროსმანში ბავშვის მდგომარეობას შეისწავლიან. ეს შუამდგომლობა ჩვენ დავაყენეთ, რაც საბედნიეროდ, მოსამართლემ გაითვალისწინა და დააკმაყოფილა.

მომდევნო სასამართლო სხდომა დანიშნული ჯერ არ არის, რადგანაც ვიდრე სოციალური მუშაკები ვითარებას შეისწავლიან, მოგეხსენებათ ეს გარკვეულ დროს მოითხოვს. იმედი გვაქვს, რომ ბავშვი აღსაზრდელად მამას დაუბრუნდება, რადგანაც გოგონას არანაირად არ სურს დედასთან ცხოვრება, ეს კი იმიტომ, რომ მან საკუთარ შვილზე უარი თავად თქვა და უყურადღებოდ მიატოვა. 5 წლის ასაკში, გვიან ღამით სახლში უყურადღებოდ გამოკეტა, რის შედეგადაც დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო და ამჯერად პატარა გოგონას დედის დანახვა არ სურს. იმედი გვაქვს, ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას გამოიტანს და ბავშვი კვლავაც დედოფლისწყაროში დარჩება,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ მოზარდის მამის ადვოკატმა ვასილ უნაფძოშვილმა.

დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოში გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას განაცხადეს, რომ მათ რეგიონალურ ფსიქოლოგს მამის

მხარემ აცილება მისცა, ამიტომ, საგენტო უახლოეს დღეებში ბავშვის მდგომარეობის შესასწავლად სპეციალისტს თბილისიდან მოიწვევს. მათი განმარტებით, მოზარდის მდგომარეობის გამოკვლევა უახლოეს დღეებში დაიწყება და მონიტორინგი თვენახევარს გასტანს, რის შედეგადაც სპეციალისტი შესაბამის დასკვნას დადებს. სასამართლო კი საქმის განხილვას სწორედ მას შემდეგ განაგრძობს.

საქმის მასალების მიხედვით, დედამ სოფელ ფიროსმანში გვიან ღამით 4 წლის ბავშვი სახლში გარედან ჩაკეტა, თვითონ კი სახლიდან წავიდა. გამოღვიძებული პატარა, როცა აღმოაჩინა, რომ სახლში მარტო იმყოფებოდა — ისტერიკაში ჩავარდა. მისი ტირილის ხმა მეზობლებმა სრულიად შემთხვევით გაიგონეს და როცა დარწმუნდნენ, რომ სახლში არავინაა, ხოლო კარები გარედანაა ჩაკეტილი, ბავშვის საძინებელ ოთახში ფანჯრიდან შევიდნენ და ტირილისგან დალურჯებული პატარა დაამშვიდეს. იმავე დილით პატარა მაკა ასლანიძეს მამამ მოაკითხა და თავის სოფელში წაიყვანა. მაკას დედა — 29 წლის მარიზა კირკიტაძე მას შემდეგ ბოლო დრომდე არ გამოჩენილა.

გასული წლის ოქტომბერში მაკას დედა ისევ გამოჩნდა და ბავშვის ნახვა მოინდომა, მამამ ამის გაკეთება კატეგორიულად აუკრძალა. სოფელ ფიროსმანშიც და სოფელ სამთაწყაროშიც, სადაც პატარა ახლა მამის ოჯახში იმყოფება, მოსახლეობა ადასტურებს, რომ პატარა მაკას დედის ნახვა არათუ არ სურდა, მისი ხსენების დროსაც კი შიში იპყრობდა. როცა მარიზა კირკიტაძემ შვილის ნახვა ვერ მოახერხა, გადაწყვიტა, დედის უფლებები სასამართლოს მეშვეობით დაეცვა და დაებრუნებინა. სასამართლომ ორივე შემთხვევაში დედა გაამართლა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, კირკიტაძემ სასარჩელო განცხადებით ჯერ ხელვაჩაურის, მერე კი დედოფლისწყაროს სასამართლოებს მიმართა. დედოფლისწყაროს რაიონულმა სასამართლომ, კერძოდ კი მოსამართლე შორენა ყაველაშვილმა ბავშვი დედას მიაკუთვნა, რამაც მაკას მამა, მისი ნათესავები და ადგილობრივი მცხოვრებლები ძალიან აღაშფოთა. საინტერესო ის არის, რომ სასამართლოს ბავშვის დედისთვის მიკუთვნების შესახებ რეკომენდაცია ადგილობრივმა სოციალური მომსახურების სააგენტომაც მისცა.

სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების მიუხედავად, ბავშვი ამ დრომდე მამის ოჯახში, სოფელ სამთაწყაროში იმყოფება. მამა და მისი ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მაკას დედას არ გაატანენ და „ბავშვის სულის დამახინჯების“ საშუალებას არ მისცემენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი დ ა ე კ ო ლ ო გ ი ა

ეკოლოგიურ კატასტროფას დედოფლისწყაროში მოსწავლეებიც ებრძვიან. მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პროექტი მოამზადეს, რომელიც ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ დაფინანსდა და რომელიც ეკოლოგიური პრობლემების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად. ამისთვის ბავშვებმა ორდღიანი ეკო-ბანაკი შექმნეს. პირველი დღე მოიცავდა მოსწავლეების ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რა პროცესებმა შეიძლება მიიყვანოს კაცობრიობა ეკოლოგიურ კატასტროფამდე. პროექტის ავტორებმა შექმნეს სამი გუნდი, რომელიც ერთმანეთს ინტელექტუალურ ვიქტორინაში ეჯიბრებოდნენ. მათ გეოგრაფიისა და ისტორიის ღრმა ცოდნა გამოავლინეს. ინტელექტუალურ კონკურსს სჯიდა კომპეტენტური ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც მოსწავლეები და პედაგოგები შედიოდნენ. ბავშვებმა წარმოადგინეს სკეტჩები, სკოლის დერეფნის კედლებს კი ამშვენებდა ეკოლოგიურ საკითხებზე მომზადებული კედლის გაზეთები.

პროექტის ავტორებმა სოფიო მენთეშაშვილმა, ქეთი შანშაშვილმა და ლიკა ლოლაშვილმა პროექტის შესახებ გაზეთ „შირაქთან“ თავიანთი აზრი დააფიქსირეს:

სოფიო მენთეშაშვილი: - „პირველ დღეს გადავწყვიტეთ, ბავშვებისთვის გაგვეცნო ჩვენს რაიონში არსებული ეკოლოგიური პრობლემები, მეორე დღეს კი მოვაწყობთ დასუფთავების აქციას და დავასუფთავებთ ელიის მიმდებარე ტერიტორიას.“

ლიკა ლოლაშვილი - „ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვიმუშავეთ ამ პროექტზე. მოხარულები ვართ, ახალგაზრდულმა ბანკმა პროექტი რომ მოგვიწონა და დაგვიფინანსა. სოფიომ უკვე გითხრათ, რომ დასუფთავების აქციას მოვაწყობთ, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ დავარიგებთ ბუკლეტებს, რომლებიც მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს. ამ პროექტის მთავარი მიზანი არის ბავშვების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

31 მარტსა და 1 აპრილს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ორდღიანი ეკოლოგიური ბანაკი ელიის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქციით დახურეს. დღის ბოლოს კი ინტელექტუალურ შეჯიბრში გამარჯვებულ ბავშვებს საჩუქრად წიგნები გადასცეს.

ინგა შიოლაშვილი



"ა რ ი ს ა ს ე თ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა . . ."

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაღში ღია გაკვეთილზე მიმიწვიეს. სტუმრად მისულს ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი ბაღის აღსაზრდელები დამხვდნენ, არანაკლებ სამზადისში იყვნენ მშობლები და მასწავლებლები. ბუნებრივია, ყველა ღელავდა. ცხადია, მცდელობა და სურვილი დიდი იყო, რომ ღონისძიება, რომელსაც ამჯერად უკვე პირობითად ღია გაკვეთილი ერქვა, ლამაზი და დასამახსოვრებელი ყოფილიყო. ღია გაკვეთილს 4—5 წლიან ბავშვთა ჯგუფში თავად საბავშვო ბაღის დირექტორი ქეთევან ჩალახეშაშვილი უძღვებოდა. ჯგუფის პედაგოგი თამუნა ლეკაშვილი გახლავთ, თანაშემწე ქეთევან გიგოლაშვილი. ღია გაკვეთილი, როგორც თავად დირექტორმა აღნიშნა, თემატურად საქართველოს ეძღვნებოდა. ბავშვებმა კითხვა პასუხის რეჟიმში გადმოგვცეს, რომ ჩვენს ქვეყანას საქართველო ჰქვია, რომ მისი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, ჩამოთვალეს და ისაუბრეს საქართველოს კუთხეებზე. მათ პედაგოგების დახმარებით პატარა, ფერად—ფერადი ქაღალდებით შექმნეს საქართველოს რუკა, თითოეული ბავშვი ამ რუკას სახლში წაიღებს და იამაყებს, რომ მას აქვს საკუთარი ხელით შექმნილი საქართველოს რუკა. შემდეგ კი, ბავშვებმა თავისი პატარა ხელები გულთან მიიტანეს და შეასრულეს საქართველოს ჰიმნი. ჩამოთვალეს თუ რომელი ეროვნების ხალხი ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში. თვალსაჩინოებისთვის ბავშვებმა საკუთრი ჩაცმულობით წარმოგვიდგინეს ჩვენში მაცხოვრებელი სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ნაციონალური სამოსი. შეასრულეს ქართული, უკრაინული, ბერძნული და ბოშური ცეკვები.

პატარებმა ქეთევან მასწავლებლის დახმარებით ისაუბრეს ისეთ მტკივნეულ თემაზე, რასაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები ჰქვია. აქვე გაისმოდა პატრიოტული ლექსები— ,,სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება!“—ამბობდა სოსიკო, —,,საქართველო ჩვენი მიწა წყალია“... —ამბობდა იოანე, ,,ჩემო ათასჯერ დახვრეტილო, მაინც უკვდავო სა ქართველო“, ,,ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები“— ჟღერდა ლადო ასათიანის, ანა კალანდაძის, ვაჟა ფშაველას ლექსების სტრიქონები.

ღონისძიება ძალიან ლამაზად დასრულდა: აღსაზრდელებმა გვიმღერეს ანა კალანდაძის ლექსზე დაწერილი სიმღერა— ,,საქართველოო, ლამაზო!“ რაც ძალიან ლამაზი მოსასმენი გახლდათ, პატარებს ხომ ყველაფერი უხდებათ. ამჯერადაც მოხიბლული დაგვტოვეს. ექსპერიმენტმა, სახელწოდებით ,,ღია გაკვეთილი“,— გაამართლა. ამ სტილით ღონისძიების წაყვანა ბევრად შინაარსიანი, შემეცნებითი, საინტერესო და ორიგინალური გახლდათ. საზოგადოდ კი, უნდა დავძინოთ და ვაღიაროთ, რომ ბოლო პერიოდში ამ ბაღში უამრავი რამ შეიცვალა, როგორც ბავშვთა აღზრდის და მათი სწავლების გაუმჯობესების კუთხით, ასევე ბაღის შენობის ინტერიერის მკვეთრი გალამაზების თვალსაზრისით. ყოველივე ეს ნათლად აისახება თავად ბავშვთა როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ განვითარებაზე.

ღია გაკვეთილს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები, მშობლები და რაიონის სხვა საბავშვო ბაღების დირექტორები..

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ, ამავე ბაღში კიდევ ერთი ღონისძიება შედგა, ამჯერად ის პედაგოგის მაია გაგნიაშვილის და მისი თანაშემწის მარინა ჯორკოშვილის თაოსნობით 3-4 წლიანი ჯგუფის ბავშვებმა წარმოგვიდგინეს. ღონისძიების თემა გაზაფხული გახლდათ, ლამაზად მორთულ დარბაზში საკარნავალო ფორმაში გამოწყობილი ბავშვები შემოდიან, ირგვლივ გაზაფხულის სურნელს ატრიალებენ და ამ სეზონისთვის დამახასიათებელად ჟრიამულობენ. ყველაფერი ძალიან ლამაზად და საზრიანად იყო გათვლილი, იქაურობას არაფერი აკლდა იმისთვის, რომ გაზაფხული შეგვეგრძნო. იყვნენ ღრუბლებიც და იყო მზეც, იის ბუჩქები და მერცხლებიც, ფუტკარი და ბობოქარი ქარიც, სხვადასხვა მწერებიც და პეპლებიც — ყველაფერი ის, რაც გაზაფხულთან ასოცირდება. დარბაზში შემოდიან გოგონები და ყვავილებს განასახიერებენ, ერთმანეთს იების და ენძელების ენით ესაუბრებიან,შემდეგ ქარიშხალი ამოვარდება და ღრუბლებს გადაყრის, ირგვლივ გამოიდარებს და პეპლებიც მინდვრად აფარფატდებიან. აგერ მერცხლებიც შემოფრინდნენ და გაზაფხულის მოსვლა გვამცნეს. გინახავთ როგორ ცეკვავენ მერცხლები? — პატარებისთვის ხანდახან ასეც ხდება და მერცხლები ბაღდადურს იცეკვებენ. ფუტკარი და პეპელა ქართულს შეასრულებენ. შემდეგ თითოეული ლექსს ამბობს, დასასრულს კი, ყველა ერთად მხიარულობს —,,ვატრიალებთ კარუსელს, ადგილს ვუცვლით ერთმანეთს“ — ამბობენ ბავშვები, ერთმანეთს ეხუტებიან და სამახსოვრო ფოტოებს იღებენ. მშვენიერი ღონისძიება იყო,თავისი ლამაზი დასაწყისით და დასასრულით. ამას სიტყვით ძნელად თუ გადმოვცემთ, ეს უბრალოდ უნდა ნახოთ.მადლობა აღსაზრდელებს, მადლობა პედაგოგებს.

ლალი მეხრიშვილი

ხუთი საჯარო სკოლის მოსწავლემ სოციალური მედიის ტრენინგი გაიარა

5 აპრილს, ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის კომპიუტერულ ცენტრში, ჩატარდა ტრენინგი „სოციალური მედია სკოლაში“, რომელიც სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერით და ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის ორგანიზებით გაიმართა. როგორც გაზეთ „შირაქს“ ორგანიზატორებმა აცნობეს, მოსწავლეებმა ტრენინგში მონაწილეობა დედოფლისწყაროს ხუთი საჯარო სკოლიდან მიიღეს.

ტრენინგი სამოქალაქო კლუბის სოციალური მედიის ჯგუფის ლიდერმა გიგი იაკობიშვილმა ჩაატარა. ტრენინგში ჩაერთვნენ როგორც ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2 საჯარო სკოლების, ასევე სოფლების: საბათლოს, არბოშიკისა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლის აქტიური მოსწავლეები.

ტრენერის, გიგი იაკობიშვილის განმარტებით, მოზარდებმა ამჯერად ისწავლეს ბლოგის შექმნა და ზოგადად გაეცნენ სოციალური მედიის ფუნქციას და მის მნიშვნელობას დღევანდელ რეალობაში.

„ტრენინგის შემდეგ გაჩნდა სურვილი, რომ მიღებული ცოდნის შედეგად, ისინი მომავალში გააკეთებენ ბლოგებს სამოქალაქო კლუბის შესახებ ან პირადი მოხმარებისათვის,“ - აცხადებს იაკობიშვილი.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა“ საქართველოში USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

დიდი საქმე პატარა ქალაქში

დედოფლისწყაროში ალექსი გაბრიელაშვილს, თავისი საქმიანობის გამო, ყველა იცნობს. ის ბავშვთა ხალხური ცეკვის ანსამბლს "შირაქს" ხელმძღვანელობს, რომელიც 2003 წელს ჩამოაყალიბა. ამასწინათ ხმა გავარდა, და ჩვენი გაზეთიც წერდა, "შირაქმა" "ნიჭიერის" შესარჩევი ტური წარმატებით გაიარაო. საქართველოში, სადაც უამრავი ბავშვთა ცეკვის ანსამბლია, ასეთი წარმატება იოლი მისაღწევი სულაც არ არის, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამ გახლავთ – უნდა დააფასო ის შემოქმედებითი რისკი, რაც ალექსიმ პროექტ "ნიჭიერში" მონაწილეობაზე თანხმობით გასწია. პატარა ქალაქში, სადაც უამრავი თვალი გაკვირდება და ყური გისმენს, ასეთი გაბედულება პატივისცემას იმსახურებს.

- სატელევიზიო, მითუმეტეს საკონკურსო ფორმატს თავისი მკაცრი შეზღუდვები აქვს, - ამბობს ალექსი. წარმოგიდგენიათ, მთელი ნომერი ორწუთნახევარში ჩაგვატევინეს, თანაც თავისი სოლოებით. ეს კი რთულია. ცეკვას იწყებ თუ არა, ფაქტიურად ამთავრებ კიდეც. ასეთი ცაიტნოტის პირობებში უფროსებსაც უჭირთ შესაძლებლობის გამოვლენა, ბავშვებს - მითუმეტეს. სწორედ მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ავიღე საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და მონაწილეობა მივიღე ამ პროექტში. ეს ხარისხობრივად ახალი სიმაღლის აღება თვით ბავშვებს განუმტკიცებს საკუთარი თავის რწმენას, რაც სახელოვნებო სფეროში ძალზე ბევრს ნიშნავს. ამ ბავშვებს უამრავ ფესტივალზე აქვთ მონაწილეობა მიღებული, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ, სადაც დიდ მოწონებას ვიმსახურებდით, მაგრამ იქ ამ წარმატების მოწმე ქართველთა ვიწრო წრეა. ტელეშოუში წარმატებამ კი, რომელსაც მთელი საქართველო ნახავს, თავდაჯერებულობა ნამდვილად შემატა პატარებს.

ქალბატონი ჟანა პროსპერინი, საფრანგეთში გამართული ხელოვნების ფესტივალის პრეზიდენტი:

ანსამბლმა "შირაქმა" აღაფრთოვანა ფესტივალზე დამსწრე საზოგადოება თავისი ჯეჯხლოვანებით, არტისტიზმით, უნიკალური ვერჯხლისფერი

კოსტუმებით და ჩოხებით. მათ, პატარა მოჯეკვავეთა პატარა გუნდმა(12 ბავშვი) მუსიე გაბრიელაშვილის ხელმძღვანელობით, გვიჩვენეს თავიანთი ქვეყნის – საქართველოს მაღალი კულტურა, ტრადიციები და ჯოტა ხნით ზღაპრულ სამყაროში ამყოფეს მაყურებელი.

- ალექსი, შენ, ლეგენდარული ანსამბლის "რუსთავის" მიცეკვავე და სოლისტი დედოფლისწყაროში როგორ მოხვდი?

- ბავშვობიდან ვცეკვავდი, ანსამბლშიც გამოვდიოდი. 1977 წელს დავამთავრე სკოლა და მაშინვე "რუსთავში" აღმოვჩნდი, სადაც 1993 წლამდე ვცეკვავდი. პარალელურად პოლიტექნიკურ ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი დავამთავრე, თუმცა ამ სფეროში არ მიმუშავია, ცეკვამ მთელი ჩემი ცხოვრება "ჩაყლაპა". ის ცეცხლი 1977 წელს ფრიდონ სულაბერიძემ და ანზორ ერქომაიშვილმა, ამ ორმა კორიფემ რომ დაანთეს ჩემს სულში, არ გამნელებია.

1990 წელს ახლობელთან ერთად დედოფლისწყაროში, ქორწილში მოვხვდი. "რუსთავის" მოცეკვავეს ისე ვინ გამაჩერებდა, ვიცეკვე და მოეწონათ. აქაურები გვერში დამიდგნენ, შემაგულიანეს. მერე ბავშვთა ანსამბლი ჩამოვაყალიბეთ. შევრჩი აქაურობას და ამასობაში რამდენი ხანი გავიდა! პირველი თაობის ყოფილ აღსაზრდელებს უკვე თავიანთი შვილები მოჰყავთ ჩემთან, - ალექსი მასწავლებელო, ჩემს შვილს ცეკვა თქვენ უნდა ასწავლოთო.

- გეთანხმები, დრო ულმობლად სწრაფად გარბის. მოდი, ის წლები გაიხსენე, აქტიური მოცეკვავე რომ იყავი!

- 70 - იან, 80 - იან წლებში "რუსთავთან" ერთად უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი საგასტროლოდ. ეს ის წლები იყო, როცა საბჭოთა კავშირს რკინის ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. გვაოცებდა ის სიუხვე და ცხოვრების დონე, რასაც საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, აშშ - ში ვხედავდით. ყველაფერი ეს ცოტა დამთრგუნველად მოქმედებდა, მაგრამ პირველივე კონცერტის შემდეგ, მაყურებელთან ხილული კონტაქტისა და ოვაციების შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილას დადგა. მივხვდი, რომ სილამაზის, ხელოვნების ენა ყველა ეროვნების ადამიანისათვის გასაგები და საერთოა, ხოლო ჩვენ, ქართველებმა, უნდა ვიამაყოთ ჩვენი წინაპრების ფასდაუდებელი ფოლკლორით. იცით, რას წერდა ზაარბრიუკენის პრესა ჩვენი კონცერტის შემდეგ 1986 წელს? - ღრმა სევდა თუ მოზღვავებული ბედნიერების განცდა ქართველებს იმგვარი უშუალობით შეუძლიათ გადმოგვცენ, რომ ჩვენს გაუცხოებულ სამყაროში დაბნეული ევროპელი ისევ პოულობს თავის თავსო. ე. ი. თუ ევროპელი, ქართულმა ცეკვამ ფილოსოფიურ კატეგორიებზე საფიქრელად განაწყო და საკუთარი "მე" აპოვნინა, ჩვენ მითუმეტეს, უნდა დავეწაფოთ ამ სასწაულს, რასაც ქართული ფოლკლორი ჰქვია.

როცა კონცერტის მიმდინარეობისას ოვაციებს ისმენ და კონცერტის შემდეგ ასეთ შეფასებებს კითხულობ, ღირსების გრძნობით ივსები და ჰარმონიულ პიროვნებად ყალიბდები, მითუმეტეს თუკი ეს ხდება ბავშვობის, გარდატეხის ასაკში. ამიტომ, დღესაც, "შირაქის" თითოეული საზღვარგარეთული ვოიაჟი განსაკუთრებით მნიშნელოვანია ბავშვებისათვის.

გერმანია, ჰოლდენი. 80 – იანი წლები. გამოხმაურება ანსამბლ "რუსთავის" გამოსვლაზე.

ღირსებაზე ნათელი წარმოდგენა შეგექმნება, როდესაც უყურებ ნარმოსადეგ, მაღალ, ჩამოსხმულ ახალგაზრდებს, რომლებიც თავგრუდამხვევი რეკვის დროსაც კი განსაკვიფრებელ სიზუსტეს ავლენენ. რეკვები აღბეჭდილია თავგრუდამხვევი ეგზოტიკისა და მკაცრი ღირსების ნიშნით, რომელსაც ხაზს უსვამს ძვირფასი ეროვნული ტანსაცმელი.

- სამომავლოდ რას გვეტყვი?

- ბავშვებთან ვმუშაობ, თავს არ ვზოგავ. ყოველი დღე ძალიან დატვირთული მაქვს რეპეტიციებით. დედოფლისწყაროს გარდა, სოფლებშიც მყავს ბავშვთა გუნდები. არიან კარგი, კარგზე კარგი და საუკეთესო ბავშვები... მთელი სერიოზულობით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ეს კუთხე უსაზღვრო ნიჭიერებით გამოირჩევა, განსაკუთრებით ცეკვაში, სიმღერაში. მე მათ ყველაფერს გადავცემ, რაც "რუსთავმა" მასწავლა. უპირველესად კი პატივისცემას მშობლიური ფესვებისადმი, კულტურული ტრადიციებისადმი. მსოფლიოს ნებისმიერი დონის მაყურებელს მოსწონს ჭეშმარიტი ხელოვნება და არა ფსევდო - ხალხურ სტილში დადგმული სატანვარჯიშო ელემენტებით გაჯერებული წარმოდგენა. ამიტომ, ჩემი კრედო განსაზღვრულია, - "შირაქი" არის ნაღდი, ჭეშმარიტად ფოლკლორული ანსამბლი.

წინ უამრავი ფოლკლორული ფესტივალი გველოდება. ვეცდები ყველგან მივიღოთ მონაწილეობა, საზღვარგარეთაც ვგეგმავ გამგზავრებას, ვნახოთ. ყველა ბავშვი მიყვარს, მაგრამ "შირაქში" იცეკვებენ ყველაზე ნიჭიერები.

ყველა მათგანი მოცეკვავე ვერ გახდება და არც არის აუცილებელი. მთავარი ისაა, რომ ბავშვი ხელოვნებითაა დაკავებული და ტოტალიზატორსა თუ სხვა მანკიერებებისაკენ თვალი არ გაურბის.

დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარში გვიდგას, მშობლებს, სკოლის ადმინისტრაციას, ადგილობრივ ხელისუფლებას, კულტურის სამსახურს. ჩვენ ერთ საქმეს, ბავშვების სწორად აღზრდას, ვემსახურებით.

მიხეილ მღებრიშვილი

ხარება

ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა.

ხარებას გილოცავთ, მრავალს დაგასწროთ უფალმა!!!

ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს, რომელსაც წმიდა ეკლესია 25 მარტს (ახ. სტილით 7 აპრილს) აღნიშნავს, ხარება ეწოდება. ამ დღეს ყოვლადწმიდა მარიამთან ერთად მთელ კაცობრიობას ეუწყა, რომ სახიერმა ღმერთმა ადამიანი სიკვდილისა და ცოდვის სამუდამო ტყვეობისათვის ვერ გაიმეტა და ეშმაკის მონობისაგან მისი გამოხსნა გადაწყვიტა. ეს დღე არის დასაბამი „ჩვენი ცხონებისა და გამოჩინება საუკუნოითგან დამალულისა საიდუმლოისა“.

უფალმა იესო ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა, რომელსაც შობდა ქალწული და უწოდებდა სახელად ემანუელს, რომელიც ითარგმანება როგორც „ჩვენთარ არს ღმერთი“. ჭეშმარიტად, ღვთის განკაცებით ჩვენთან არს ღმერთი.

და აი, მიავლინა უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე.

წარუდგა ანგელოზი ქალწულს და უთხრა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი შეაძრწუნა მისმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „ვითარ-მე არს მოკითხვაჲ ესე?“ — რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო? ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა, ესერა შენ მუცლადიღო და ჰშვა ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“.



მარიამის ძეს ღმერთი დავითი საყდარს ანუ ისრაელის სამეფო ტახტისა და იაკობის სახლზე — ისრაელის თორმეტ ტომზე — საუკუნო (მარადიულ) სუფევას აღუთქვამს. მარადიული მხოლოდ ღმერთია, ხოლო „იაკობის სახლი“ უფლის მხილველი, მორწმუნე ერია, რომელიც სულით უფალთანაა შეერთებული.

ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია ქალწულისაგან უმამაკაცოდ შობა. ღვთისმშობელი, რადგან ქალწულების აღთქმა ჰქონდა დადებული, იკითხავს: „ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ ანგელოზი მიუგებს: „სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ“, — და ნიშანსაც აძლევს: მისი ნათესავი, მოხუცი ელისაბედი, უკვე მეექვსე თვეა, რაც მიდგომილია.

მარიამმა, როცა ყოველივე გამოწვლილვით გაიგო, დამორჩილდა, მიენდო უფალს და ღვთის ნებას თავისი ნება შეუერთა: „აჰა მხევალი უფლისაჲ, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“. და მეყსეულად შევიდა სულიწმიდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში.

რითი დაიმსახურა ქალწულმა მარიამმა ესოდენი მადლი ღვთისა, რომ ადამის მთელი მოდგმიდან სწორედ ის აირჩიეს ღვთის განხორციელების მსახურად? იმით, რომ იგი ყოველი სათნოებით იყო შემკული, რამდენადაც ეს ადამიანის ბუნებისთვისაა შესაძლებელი, და იყო ჭეშმარიტი ტაძარი ღვთისა. განსაკუთრებით აღნიშნავენ მის სიმდაბლესა და სიმშვიდეს — სწორედ ამ სათნოებათა გამო გამოირჩია იგი უფალმა.

ქალწულ ღვთისმშობელზე ასეთი გადმოცემა არსებობს: როდესაც იგი ესაია წინასწარმეტყველის წიგნს კითხულობდა, იქ, სადაც წერია: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“, — თურმე შეყოვნდა, გაიფიქრა, რა ნეტარი იქნება ის ქალწული, რომელზეც ეს ითქვაო და ღმერთს შეევედრა, მისი ხილვის ღირსი გამხდარიყო, რათა მხევალივით მომსახურებოდა მას.

სწორედ ამ სიმდაბლის გამო იყო, რომ მთავარანგელოზმა ესოდენ სულგრძელად დაუთმო ქალწულ მარიამს, რომელმაც ზეციურ მახარებელს ნათქვამის დამტკიცება და ახსნა მოსთხოვა. არცთუ დიდი ხნის წინ გაბრიელი მღვდელ ზაქარიას გამოეცხადა და შვილის შეძენა ახარა, მაგრამ მღვდელმა არ დაუჯერა, რადგან ისიც და მისი ცოლიც ღრმად მოხუცებულნი იყვნენ. მთავარანგელოზი განურისხდა მას და დაადუმა, ვიდრე წინასწარმეტყველება ახდებოდა. ყოვლადწმიდა ქალწულს კი არამცთუ არ უსაყვედურა, არამედ დიდი კრძალვითა და მოთმინებით დააჯერა იგი და არ განეშორა, სანამ მორჩილებითა და სასოებით აღსავსე სიტყვები არ გაიგონა მისგან. მიზეზი ის გახლდათ, რომ ზაქარიამ თავისი ეჭვით ღრმად დაფარული ურწმუნოება გამოხატა, ყოვლადწმინდა მარიამმა კი — მორჩილება და სიმდაბლე.

ღმერთს არ სურდა, იძულებითა და შიშით აღგვასრულებინოს რომელიმე საქმე ან, პირიქით, დაგვიშალოს რაიმეს კეთება. იგი გულმოწყალეა, სამართლიანი, წმინდა და სურს, ჩვენც ასეთივენი ვიყონ, მაგრამ კი არ გვაიძულებს სიკეთეს, არამედ შეგონებით, დარიგებით, სწავლით, სიყვარულით მივყავართ მისკენ. მას სურს, რომ ჩვენი ნებით აღვასრულებდეთ ყოველ კეთილ საქმეს.

რა იარაღითაც იღვაწა ეშმაკმა ჩვენი დაცემისათვის, იმავე იარაღით გვიხსნა ქრისტემ; თუ ევას საქციელმა ადამის მოდგმას ცრემლი მრავალგზის დაადინა, ქალწულმა მარიამმა უდიდესი სიხარული მოუტანა. ღვთისმშობლის ერთ-ერთი ეპითეტია „განმანათლებელი“, ნიშნად იმისა, რომ სიბნელეში მყოფ კაცობრიობას მის მიერ გამოუბრწყინდა მზე სიმართლისა და მორწმუნეთა გონება განანათლა.

"შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა"

ვუძღვნი დარეჯან ბატიაშვილის ხსოვნას

არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. მე არასდროს გამჭირვებია კალმის ხელში აღება. იქნებ შენი ბავშვობიდან, როცა ნიჭით და გარეგნობით გამორჩეულს დიდ მომავალს გინინასწარმეტყველებენ. ერთი ქალის ფასი ნაწნავი გეყარა თურმე მხრებზე, ერთი ქალის ფასი ჯეირანივით მოღერებული ყელი გქონდა, ერთი ქალის ფასი (თუ მეტიც არა), ტან–ფეხი და რა ჩამოთვლის იმ ღირსებებს ახლად შეღერებულ სადედოფლო ქალწულს რომ გამკობდა თურმე.

ან იქნებ ჩემი ბავშობიდან დავიწყო, მე იმ წლებიდან მახსოვხარ ყველაზე კარგად. ცხოვრებისაგან გათელილი სოფელს რომ დაუბრუნდდი, დაღლილი და ავადმყოფობა მოძალებული. მაგრამ ისევ იქალე, ისევ შეუძახე ავს, არნახული ნებისყოფის სიმტკიცე გამოიჩინე და ერთფეროვან ცხოვრებას გაექეცი. ის წლები შენთვის შეიძლება ტანჯვად ქცეულიც იყო, ჩემთვის კი ბედნიერ და სასიამოვნო მოსაგონებლად აისახა ჩემს ცნობიერებაში. წერაც მაშინ დავიწყე. ვილაცამ მითხრა ერთხელ, ბედნიერი კაცი ლექსებს არ წერსო. ვინ იცის, იქნებ მართალიც იყოს. მე, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი ვიყავი, შენი ლექსების პირველი მკითხველი და “შემფასებელიც” ვიყავი. მახსოვს, როგორ მეკითხებოდი აზრს და როგორ ვინურებოდი ოფლში იმაზე ფიქრით, რომ რაიმე ჭკვიანური მეთქვა, შენთან საუბრები ჩემს ცხოვრებას ცისარტყელად გაჰყვა. ალბათ, ამის ბრალია, მეც შენსავით გვიან რომ ავიღე კალამი ხელში. იქნებ მიზეზი ნოსტალგია იყო, ან შინაგანი სწრაფვა, რომელსაც სულ განვიცდიდი, ან ჩვენი გენის გამოძახილი. ჩემი ლექსების პირველი მკითხველიც შენ იყავი. რჩევას მაძლევდი, მაკვალიანებდი, მასწავლიდი, რისთვის უნდა მიმექცია ყურადღება. მახსოვს, ლექსი დავწერე შენზე. ქვეცნობიერად მიხვდი, რომ შენ გეკუთვნოდა ის სტროიქონები. მკითხე კიდეც:

- ვის მიუძღვენიო?

- არავის-მეთქი, ვიცრუე. თითქოს გული დაგწყდა, მაგრამ მაინც გავამხილე, რომ შენ გეკუთვნოდა, რადგან ვთვლიდი, რომ უკეთესს იმსახურებდი.

თუმცა, სათქმელს გადავუხვიე. თხრობა იქიდან უნდა გავაგრძელო, სოფელში რამოდენიმე წლის უქმად ყოფნის შემდეგ თბილისს რომ დაუბრუნდი. აქედან იწყება შენი აქტიური მოკალმეობა. ხვდებოდი უკვე დაღვინებულ პოეტებს, შენებურად უტყვად და დაკვირვებით სწავლობდი მათგან ლექსების წერის სტილს და მანერას. შენ თვითონ გიკვირდა, საიდან მოფრინავდნენ იშვიათი აზრები და მეტაფორები, როგორ აიკუნწულებოდნენ ხოლმე შედევრებად. ჭეშმარიტად ღირსეული შემოქმედების პატრონმა, საკმაოდ გვიან გამოეცი პირველი კრებული. მახსოვს, როგორ გიხაროდა და ამაყობდი, როცა დედოფლისწყაროში შენი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ვკითხულობდით შენს ლექსებს, გიმღეროდნენ ჩემი შვილები და ვგრძნობდი, ბედნიერი იყავი. მაინც თითქოს რაღაცას ელოდი. შენს გამოხედვაში ვგრძნობდი ამას და მიხაროდა, რომ არც ამ მოლოდინს გაგიმტყუნებდი. ლექსს ელოდი, ჩემგან მოძღვნილს, რომელიც შენთვის სიურპრიზად შემოვინახე ღონისძიების ბოლოსთვის. საოცრად გაგიხარდა. მერე გადამაწერინე, თბილისში უნდა წავიღო და ყველას წავაკითხოო — მითხარი. დღეს, კიდევ ერთხელ, ამ ლექსის რამოდენიმე სტროფის გამოყენებით მინდა ის ბედნიერი წლები დავაბრუნო.

სახლი სოფელში – ღია აივნის
სვეტებთან მდგარი ქალი ტანსარო
გასცქერის სოფლის უტევ სილაშაზეს,
როგორც რაიმე ჟვირფას აგვაროს.
უღიმის ტყეში გაფანტულ
შინდის მზის ათინათებს,
რიყრაჟზე ცისკრის ჯარსკვლავის
ალისფრად ამოანათებს.
და შენი ლექსით უკვე ცაში
ჯარსკვლავებს სწვდები.

ამ ლექსში ჩაჯაქსოვე შენი უდარდელი ბავშობაც და ტკივილიც, შენი გამოუსწორებელი ოპტიმიზიც. ასაკში შესული კი “დაფრინავდი” შენს ლექსებთან ერთად.

მას შემდეგ ერთ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ეს ის წლებია, რომლებიც მოუშუშებელ ტკივილად დამრჩება. ისევ შენეული სიჯიუტე გახდა ჩვენი დაშორების მიზეზი. ასე მგონია, ეს ერთი ათეული წელი უკან რომ დააბრუნა, შევძლებდი შენს შეჩერებას. თუმცა, ვინ იცის, შევძლებდი კი... უკანასკნელ გზაზეც ლექსით გაგაცილებ. ნათელში გევლოს, ჩემო მამიდა!

გედის სიმღერა

დღეს ძველი სახლის კედლებსაც კი სცვივ-
ვათ კურცხლები,
ალალი ცრემლით გაგაცილებს ჰოეტთა
ძოდგმა,
დაგშრიალებენ საუვარელი წიგნის ფურ-
ცლები,
დაობლებული სტრიქონების გაისმის მო-
თქმა.
უხვი სიკეთე დაბერტყა შენს აკვანს ღმერთ-
მა
ვერ გაიმეტა თუმც ბოლომდე წუალობა
ბედმა.
დაგიმორჩილა უცნაურმა ავადმყოფობამ,
გამარჯვებული ნიშნისმოგებით სარხარებს
ეშმა.
მწარე ცხოვრებამ გაგიმრავლა ზრუნვა და
შარი
უხმოდ იწოდი მარტოდსული, ძლეული
ქალი,
რისთვის ვიცხოვრე, გაწვალებდა ფიქრი
აშარი,
თუმცა უველასთან ცამდე იუავ მაინც მართა-
ლი.
ხსოვნას შემორჩა ცალეურა და შავტუხა
ქვაბი,
ზედადგარი და მშობლიური, მურა ბუხარი,
ჩამოფლეთილი ქალურობა სიფრცეს გაჰ-
ბღავის,
როგორც ქარაფზე დარჩენილი ეული ხარი.
ქვეუნად არარა არ გებადა ლექსების გარდა,
მუხის ჩურჩული ჩაგესმოდა უკავილთა
ძღვრად,
ძლიეს მოესწარი შეგეკონა ერთ თაიგუ-
ლად,
ეს წიგნი იყო, ალბათ, შენი გედის სიმღერა.

თამარ ბატიაშვილი,
დარეჯან ბატიაშვილის ძმისშვილი.
სოფელი გამარჯვება.

მონატრება

ვლადიმერ ქისტაური

გავიდა დიდი გულისტკივილით სავსე ორი წელი. წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი გულის ტკივილი. 13 აპრილს მოულოდნელად გამოემშვიდობე შენს ოჯახს, დატოვე შენი პატარა ანა და ლადიკო დედის მუცელში.

ამბობენ დრო მკურნალიაო, მაგრამ დროც უძლური გამოდგა იმ სიცარიელის შესავსებად, რაც შენი წასვლით დატოვე ჩვენს გულებში. მხოლოდ ყოველდღიური ცრემლიანი მოგონებები და შენი საფლავი დაგვრჩა სამახსოვროდ. ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან ყვავილებით, წმინდა სანთლებით და შევევედრებით უფალს, რომ ნათელში ამყოფოს შენი სული. ძალიან გვენატრები ყველას!

შენი მშობლები, ცოლ–შვილი და დები.

ნათელა ნანობაშვილი, ლამარა მენთეშაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ლამარა მატიაშვილი, ლეილა ყოჩიაშვილი ოჯახებით იუწყებიან მეზობლის

სალომე როზიტაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უახლესი მეზობლები ლია ბროძელი, ლამარა მატიაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ლამარა მენეშაშვილი, ნათელა ნანობაშვილი, ლორა კობიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ლეილა ყოჩიაშვილის დედის

ნაზო ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ტესტი

რამდენად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენთ ადამიანებზე?

1) ცდილობთ თუ არა შურისძიებას სამსახურში მომხდარი უსიამოვნების შემდეგ?
ა) ყოველთვის – 1;
ბ) ხანდახან – 2;
გ) არასოდეს – 3;
2) უმეტესად, როგორ იქცევით კრიტიკულ სიტუაციაში?
ა) სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებთ – 2;
ბ) შინაგანად ღელავთ – 1;
გ) საკუთარ თავზე ცონტროლს საერთოდ კარგავთ –3.
3) თქვენი აზრით, როგორი ადამიანი ხართ კოლეგების თვალში?
ა) მშვიდი და უზრუნველყოფილი – 3;
ბ) მეგობრული — 2;
გ) თვითდაჯერებული და შურიანი – 1;
4) როგორი რეაქცია გექნებათ, თუ მოულოდნელად, საინტერესო, საპასუხიმგებლო სამსახურს შემოგთავაზებენ?
ა) კარგათ აწონ–დაწონით და შემდეგ მიიღებთ გადაწყვეტილებას –1;
ბ) უყოყმანოდ მიიღებთ წინადადებას –1;
გ) უარს იტყვით –3/.
5) როგორ მოიქცევით, თუ საწერი მაგიდიდან ვინმე, გაუფრთხილებლად, აიღებს რაიმე საბუთს?
ა) მაშინვე დააბრუნებთ –2;
ბ) მაგრად შეჯორავთ –1;
გ) ჰკითხავთ –სხვა რამითაც ხომ არ შეგიძლიათ დაეხმაროთ –3;
6) რა სიტყვებით შეხვდებით, სამსახურიდან ჩვეულებრივზე გაცილებით გვიან დაბრუნებულ მეუღლეს?
ა) "რატომ შეგაგვიანდა, ძვირფასო?" -1;
ბ) "სად ეგდე აქამდე?" – 2;
გ) " მე უკვე ვნერვიულობდი" –3;
7) როგორ იქცევით მანქანის მართვისას?
ა) ცდილობთ, ყველა მანქანას გაუსწროთ–1;
ბ) ძალზე სწრაფად დააქროლებთ მანქანას –2;
გ) ნელა, აუღელვებლად დადიხართ და არ აქცევთ ყურადღებას მანქანებს, რომლებიც გისწრევენ –3.
8) როგორ იქცევით, როცა დასახული მიზნის მიღწევა

გიჭირთ?
ა) ცდილობთ, წარუმატებლობა სხვას გადააბრალოთ – 1;
ბ) ცდილობთ, საკუთარ თავში იპოვოთ ამის მიზეზი –3;
გ) ეგუებით მდგომარეობას -2;
9) როგორ მოიქცევით, თუ ვაკანსიას, რომელიც ძალიან გხიბლავთ, მოულოდნელად სხვა დაიკავებს?
ა) ინერვიულებთ –1;
ბ) იფიქრებთ, რომ უფროსმა თავისი საქმე უკეთჲ იცის – 2;
გ) საკუთარ თავს ეტყვით: მეტად მოვინდომებ და სხვა დროს მეტსაც მივაღწევ –3;
10) რას განუცდით საშDიენელებათა ფილმის ყურებისას?
ა) ის სიამოვნებას გგვრით -3;
ბ) გაშინებთ, მაგრამ მაინც უყურებთ -1;
გ) ის თქვენთვის მოსაწყენია -2;
11) როგორ იქცევით, როცა საავტომობილო საცობის გამო, მნიშვნელოვან შეხვედრაზე გაგვიანდებათ -2;
ა) დაურეკავთ პარტნიორს და გააფრთხილებთ, რომ გაგვიანდებათ–2'
ბ) ნერვიულობისაგან თავი აგტკივდებათ -1;
გ) ხასიათი წაგიხდებათ –3;
12) როგორ მოიქცევით, თუ თქვენს შვილს სკოლაში თანაკლასელი გააბრაზებს?
ა) მასწავლებელს დაელაპარაკებით –1;
ბ) "დამნაშავის" მშობლებს წაეჩხუბებით –2;
გ) დაარიგებთ შვილს, რომ ფიზიკურად გაუსწორდეს მას, ვინც დღეს გააბრაზა -3;
13) თქვენი აზრით, როგორი ადამიანი ხართ?
ა) ნორმალური –1;
ბ) თავდაჯერებული –2;
გ) შემტევი -3.
14) წარმოიდგინეთ, რომ გთავაზობენ, კიდევ ერთხელ მოევლინოთ ქვეყანას, ოღონდ – როგორც ცხოველი. რომელს მიანიჭებდით უპირატესობას?
ა) კატას -2;
ბ) დათვს –3;
გ) ვეფხვს –1.

დაჯამეთ ქულები:

14-22 ქულა: მშვიდობისმოყვარე ადამიანი ხართ. საკუთარი თავის რწმენა და თავდაჯერებულება აშკარად გაკლიათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვებს თქვენით მანიპულირების საშუალებას აძლევთ. საკუთარ შეხედულებებს ბოლომდე იცავთ. სხვებთან ურთიერთობაში კი, უმეტესად, თბილად და ლოიალურად იქცევით, ოღონდ, მანამდე, სანამ ვინმე ძალით არ გამოგიწვევთ. თუე ს მოხდა, ბრაზდებით, თუმცა, თქვენი კიდევ ერთი დადებითი თვისება ის არის, რო თავადვე ეძებთ გაფუჭებული ურთერთობის აღგენის გზებს.

23-32 ქულა: ზომიერად აგრესიული ხართ. თუმცა, ამ თვისების წყალობით, ცხოვრებაში წარმატებას აღწევთ. თავმოყვარეობაც ზომიერად გაქვთ განვითარებული და თავდაჯერებულიც ხართ. ადამიანებთან ურთერთობა არ გიჭირთ, რადგან კარგად იცით, თუ ვის, როგორ უნდა მოექცეთ.

33-42 ქულა: გარშემომყოფნი ზედმეტად აგრესიულ ადამიანად მიგიჩნევენ: ამიტომ ხშირად ვარდებით კონფლიქტის სიტუაციაში და ბევრი მეტრიც გყავთ. მუდამ წინსვლაზე ფიქრობთ, ურთიერთობის საკუთარ მეთოდებს მიმართავთ და წარმატებების მისაღწევად, გარშემომყოფთა ინტერესებს სრულიად უგულებელყოფთ. ამიტომაც არის, რომ უმეტესობის ნაცვად, პროტესტის გრძნობა გიჩნდებათ და მათ დასჯაზე ფიქრობთ, ვინც წინ გადაგეღობებათ.

იყიდება

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:
571 55 99 51; 595 97 99 01. იკითხეთ ლია. საწყისი ფასი: $4 300

ყურადღება!

ხანდაზმულ ქალბატონს ესაჭიროება 20-55 წლის კეთილსინდისიერი დამხმარე ქალი. სასურველია, არ იყოს დაკავებული საკუთარი ოჯახური საქმიანობით. დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით: ტელ: 22-51-63; მობილური; 593-18-14-77; 790-67-52-75 ან მიაკითხეთ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, ქიზიყის ქ.№31

ამინდი დედოფლისწყარო

	პარასკევი 06.04	შაბათი 07.04	კვირა 08.04	ორშაბათი 09.04	სამშაბათი 10.04	ოთხშაბათი 11.04	ხუთშაბათი 12.04
დღე	18°	19°	20°	17°	20°	18°	17°
ღამე	10°	10°	11°	15°	15°	13°	16°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის" სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 8 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K